ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 573

"4" ნოემბერი 2022 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი №13-23-ის მიმდებარედ არსებული 2623 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან 17 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.14.011.190) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ლუი კოფისთვის" (ს/ნ. 425363518) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი №13-23-ის მიმდებარედ არსებული 2623 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 17 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.14.011.190) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ლუი კოფისთვის" (ს/ნ: 425363518) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 12 ოქტომბრის №22.1580.1719 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი №13-23-ის მიმდებარედ არსებული 2623 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან 17 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.14.011.190) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ლუი კოფისთვის" (ს/ნ. 425363518) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 3 060 (სამი ათას სამოცი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე